

ქოველ დღე ორშაბათს გარდა

# ფროეპე

ცალკე ხომარკი ღირს შაშრათი

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

ფასი განცხადებისა: დღით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციფროთი—1 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციის უფლება აქვს გააწიროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. ზარზე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографш. ВЪ редакшю газ. „Фроапа“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

მიიღება ნახევარი წლის ხელის-მოწერა გაზეთს

## „ფროეპე“

ფასი ნახევარი წლის გაზეთისა (პირველ ივლისიდან პირველ იანვრამდე 1879 წლისა) 4 მან. და 50 კაპიკი.

ხელის-მოწერა მიიღება: თფლისში, (სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8). ძალაქს გარეშე მცხოვრებთათვის აღრეაი: ВЪ Типографш. ВЪ редакшю газеты „Фроапа“.

## ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი) ბერლინის მორიგების პირობა

კეტიკბურლი, 7ს. ივლისს. გაზეთს „Новое Время“-ში დაბეჭდილია სრული თარგმანი ბერლინის ტრაქტატის პროექტისა. აი უმთავრესი მუხლები ამ ტრაქტატისა:

ბნთავისუფლებული ბოლგარიის სამხლერად დანიშნულია ბალკანის მთები; იმას შეუერთდება სოფიის სანჯაყის ერთი ნაწილი, და არა სრულიად სანჯაყი, აღმოსავლეთ-სამხრეთი ნაწილი ამ სანჯაყისა ისევ ოსმალეთს დარჩება; კომისია, რომელიც ბოლგარიისა და ოსმალეთის სამხლერს გაიყვანს, მიიღებს მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ხონტქარს აღმოსავლეთ-რუმელიაში უნდა ჰქონდეს მაგარი სამხლერები ბოლგარიის მხრით.

ბოლგარიის შინაგანი განწყობილება, გამგეობა უნდა დაადგინონ ბოლგარიისვე საპატრო პირებმა, რომელნიც ტირნოვოში შეიკრიბებიან.

სანამ მთავარს ამოიჩივდნენ, ბოლგარიის გამგეობა მიხდობილი ექნება რუსეთის ვლჩს, ოსმალეთის კომისარს და მეროპის სახელმწიფოებისაგან დანიშნულს კომისიას. ეს დროებითი მმართველობა ცხრა თვის განმავლობაში ექნება ბოლგარიაში. ოსმალეთის სავაჭრო პირობებს თავისი ძალი არ დაეკარგება. ბოლგარიის ციხეები თვითონ ამ სახელმწიფოს ხარჯით უნდა დაანგრიონ. უკელა სარწმუნოების ხალხს ბოლ-

გარიაში თანაწორი უფლება აქვს მიიჩივებული.

აღმოსავლეთი რუმელია პოლიტიკურის და სამხლერო მხრით პირდაპირ სულთანის ხელქვეით დარჩება. მე-13 მუხლი მორიგებისა ამბობს, რომ ხონტქარმა ადმინისტრაციული რეფორმები უნდა შემოიღოს რუმელიაში, დანიშნოს იქ ლუბერნატორად ქრისტიანთაგანი ვინმე. ხონტქარს აქვს უფლება რუმელიაში ააშენოს ციხეები სამხლერებზე, იყოლიოს იქ ჯარები. შინაგანი წესიერება აღმოსავლეთ რუმელიაში დატული ექნება ადგილობრივ ყანდარმებისა და მილიციის საშუალობით.

არც ბაშიბუზუყები და არც ჩერქეზები არ უნდა იყვნენ დაყენებულნი რუმელიის სამხლერზე. რეგულ იარული ჯარები ხალხის სახლში არ ექნებიან დაყენებულნი და როდესაც გზათ გაივლიან, ერთს რომელსაზე ადგილას დიდხანს არ უნდა გაჩერდნენ. ლენერალ-ლუბერნატორს აქვს უფლება მოიხმოს რუმელიაში ოსმალთს ჯარები, თუ იქ ვინიცობაა რამე შინაგანი არეულობა მოხდება.

შინაგანი განწყობილების (გამგეობის) დადგენა მიხდობილი ექნება მეროპის კომისიას ოსმალეთთან დათანხმებით.

საბერძნეთის პირობის ციხეებზე (პიარს, თესალიას და მაკედონიაზე) ბერლინის ტრაქტატში ყრუთ ნათქვამია, რომ იმათ რეფორმები უნდა მიენიჭოსო.

ბოსნია და ჰერცეგოვინა ოსმალეთმა სამუდამოთ უნდა დაუთმოს ავსტრიას; ამ პროვინციებში დაწესებული იქნება ავსტრიის მმართველობა.

ჩერნოგორია მიიღებს ოსმალეთისაგან ერთ ნაწილ მაზრას, მაგრამ ბევრად უფრო მცირეს, ვინემ სან-სტეფანოს მორიგების პირობის ძალით ეძლეოდა.

სერბია მიიღებს აგრეთვე ერთ მაზრას; იმას მიენიჭება სრული თავისუფლება.

რუმინიას მიენიჭება თავისუფლება, ლაზარუჯუ და მანგალიის ნავაადგურია.

რუსეთი შეიძენს შარსს, ბათუმს და არტაანს. ბაიაზეთსა და ალაშქერთის მაზრას ისევ ოსმალეთს დაუბრუნებს. რუსეთს შეუერთდება აგრეთვე ბესარაბია, ძილიის ჩასართავამდინ.

მანა, 7 ივლისს. „პოლიტიკურს ძორრესპონდენტში“ დაბეჭდილია: იმედი

ალარ არის, რომ ოსმალეთი და საბერძნეთი მოთავსდნენ ერთმანეთში. ოსმალეთის მმართველობა საბერძნეთის შესაშინებლად საომრად ემზადება. ბუშინწინ სტამბოლიდამ მოლოში აჯანყებული ბერძნების დასაშინებლად გაგზავნეს რამდენიმე ხომალდით ჯარები და საომარი მასალები. ამ ჯარების უფროსად დანიშნულია ადმირალი ჰასან-ფაშა. ძიღვე ახალი ჯარების გაგზავნას აპირებენ.

ავსტრია და ოსმალეთი ჯერ კიდევ არ დათანხმებულან ერთმანეთში. ბოსნიის თაობაზედ.

საბერძნეთის პარლამენტი 12 აგვისტოსთვის არის დაბარებული დელანის მოხსენების მოსასმენელად იმის თაობაზე—თუ რა გარიგა კონგრესმა საბერძნეთისათვის.

თესალიიდან და მაკედონიიდან იწერებიან, რომ ამ პროვინციებში აჯანყებულებს ცალკე ატრიალები შეუღგენიათ.

კეტიკბურლის ბიკშა, 7 ივლისს (ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემის —	97	50
მეორესი — — — —	96	37
მესამესი — — — —	96	5
მეოთხესი — — — —	96	—
აღმოსავლეთის — — — —	95	37
ოქროს, 1/2 იმპერიალი —	7	78
თფილ. თავად-აზნ. ბანკის გინაოს ფურცელი — — —	—	—
შინაგანი 5% სესხის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი სესხის — — —	238	50
მეორე სესხის — — —	237	—
1 მანეთი ღირს:		
ლონდონი —	25	62 პენსი
ამსტერდამი —	129	— „ ცენტი
ჰამბურგი — — —	217	— „ ჰენიგი
პარიგი — — —	267	50 სანტიმი

### საქართველო

ბათუმის მიწები

ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ გამოცხადებული, რომ თფილისის სომხები ახლად-შეძენილ ბათუმის მაზრაში მა-



მულეების შედენას აპირებენო; იმათ უფიქრნიათო, რომ, უეჭველია, ზოგიერთი ოსმალოები გადავლენ იქიდან მსმალეთში, თავიანთ ადგილ-მამულს მიატოვებენ და ამ მიტოვებულ მამულებს იაფად ვიყიდითო.

სასაცილო კია ის გარემოება, რომ ჯერ რუსეთისთვის არც კი ჩაუბრებიან ბათუმი და იმის მაზრა, ჯერ არც კი ვიცით ნამდვილად—გადასახლებიან მართლა იქიდან მცხოვრებლები და ადგილ-მამულები დარჩება გასასყიდელი, თუ არა, ჯერ არ ვიცით—მთავრობა რა კანონს დასდებს, რა ვანკარგულებას მოახდენს ამ გვარ მამულების შესახებ,—და ახლაც ჩნდებიან ისეთი პირები, რომელთაც აქაც კი განუზრახავთ ხელის-მოთმობა, სარგებლობა, მუქთად დაფლობა მამულებიანსა.

რადგანაც ამ საგანზედ ჩამოვარდა ლაპარაკი, ჩვენ საჭიროთ ვრაცხთ მივაქცით ყურადღება შემდეგ გარემოებასა და გამოვაცხადოთ ჩვენი ჰაზრი და სურვილი:

რასაკვირველია, სოფლებს ფულები აქვთ და ყველგან შეუძლიანთ მამულების ყიდვა მაგრამ კარგი იქნება ამ თავითვე იცოდნენ, რომ ბათუმის მხრისაკენ ამ შემთხვევაში საშიში და ყურადღებაში მისაღები მოწინააღმდეგეები (კონკურენტები) დახვდებიან; ეს კონკურენტები იქნებიან მეგრელები.

რამდენათაც ჩვენ ვიცით, ამ ქაზად ბათუმში ერთი სომეხიც არ მოიპოვება, რომელსაც ხეირიანი ვაჭრობა ჰქონდეს. მომეტებული ნაწილი იქაური მამულის პატრონები და ვაჭრები არიან ლაზები, რომელნიც ხასიათით, ენით, მოხერხებულის და მახვილის ჰკუთხენ და აგრეთვე ენითაც თითქმის წმინდა მეგრელები არიან.

ჩვენ ვეცით აგრეთვე, რომ საზოგადოთ შავი ზღვის ნაპირა ქალაქებში: შერჩში, სევასტოპოლში, ყოვდოსაში და თეთქმის მდენაშიაც ბლომად არიან მეგრელები და ზოგნი ვაჭრობენ, ზოგნი ისე მუშაობენ და ერთის სიტყვით „საქმეები აქვთ.“ მიზეზი ამისი ის განსაზღვრეთ, რომ მეგრელებს ხალხს თითქმის ყველა ის თვისება აქვს, რაც საზოგადოთ ვაჭრობისათვის საჭიროა, ე. ი. ანგარიშის ცოდნა, გაძრომ-გამოძრომა, მოხერხება, ფულის შენახვა, დაფასება და სხვა და ამას გარდა კიდევ ერთი ისეთი ხასიათი, რომელიც ჩვენებურს ვაჭრებში იშვიათად მოიპოვება: გამბედაობა ვაჭრობაში.

რადგან თქმა უნდა, რომ ბათუმის მხარე ამისთანა ხალხს უფრო ადვილად შევთვისება, ამისთანა ხალხთან, რომელიც

ამდროს თანამოძმე ხალხიცა, უფრო სიამოვნებით, უფრო ადვილად დაიჭრის საქმეს, ვინემ სხვა გვარ ვაჭრებთან.

შველა ამას მიუხატეთ კიდევ ისიც, რომ მეგრელი ვაჭარი თავის დღეში არ არის ისეთი შეუბრალებელი გულის, ისეთი ფულის მოყვარე, რომ ამ ფულისათვის თავის სინიღისი და სული გაჰყიდოს, გაჭირებული ხალხი შეევიწროვოს.

შველა ეს შეეხება ვაჭრებს და საზოგადოთ იმ პირთ, რომელნიც თვითონ ქალაქს ბათუმში მოინდომებენ მიწების შედენასა და ვაჭრობის დაწყებას.

სოფლის მამულებს შექენას თფლისეული სომხები, რასაკვირველია, არ გამოუდგებიან, რადგან მეურნეობა ამათთვის არ არის გაჩენილი. თუ ამ მამულებს მთავრობამ გაყიდვა დაუწყო, უიჭველია, რომ ბევრი უცხო ტომის ხალხი აღმოჩნდება ყიდვის მსურველი.

მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში ერთის მხრით იმას, რომ უცხო ტომის ხალხი ამ ქვეყანაში ვერ გასძლებს ისე, როგორც ვერ გასძლო იმან აფხაზეთში და მეორეს მხრით ისიც, რომ უცხო ხალხის ჩასახლება ამთავითვე, უეჭველია, ცუდს შთაბეჭდილებას მოახდენს ადგილობრივს ხალხზე,—არ შეგვიძლია არა ვსთქვათ, რომ ბევრად უფრო სასურველია, რომ ეს სოფლის ადგილები გურულებსა და მეგრელებს ჩაუყარდეთ ხელში და თუ მთავრობა გაჰყიდის ამ მამულებს, შემსუბუქებელი პირობებით მიჰყიდოს ისევ ზემო ხსენებულებს.

იმედი გვაქვს, რომ ამ ჩვენს ნატვრას სხვა რაიმე ჰაზრით არ ჩამოგვართმევენ; ჩვენი სურვილი მხოლოდ ის არის, რომ ამ მხრით ახლად შედენილს მხარეებში ეთილ-განწყობილება დამყარდეს.

ს. მ.

დღიური

\* \* \* შოკლის მხრიდან საჩივარი ისმის ამ ქაზად ჩვენში, რომ მუშა გაძვირდა უბრალო მუშა დღეში ორ-სამ მანეთს ნაკლებ არ დგებაო, საქონელი აღარ გვეყვსო და ამნაირად უხვი მოსავალი და კიდევ უფრო უხვი ბალახი ტყუილ-უბრალოთა ღებება, ფუჭდებაო.

ჩვენ გვეგონა, რომ ამისთანა გაჭირება აიძულებდა ჩვენ წსოფლის შემამულებებს ეფიქრნათ და რამე ღონისძიება ეხმარად, რომ სამეურნეო მაშინები შეეძინათ, თათოვეულს კალკე თუ არა, არტელით, მთელს საზოგადოებას და სოფელს საერთოდ მაინცა. საუბედუროთ, არაფერს ამ გვარს ჩვენში ჯერჯერობით ვერა ვხედავთ. ბევსმის მხო

ლოთ ჩივილი მუშა ხელისა და მუშა საქონლის სიძვირეზე და იქიდან ღონისძიება და საშუალება კი არა სჩანს ამ სიძვირის მოსასპობელად ანუ შესაღავათებელად.

მაშინებს თავი დავანებოთ. რატომ უფ. ნ. აკალიშვილისგან ახლად მოგონილი კვერი მაინც ასე მძიმედ შემოდის ჩვენში ხმარებაში? ჩვენც დავრწმუნდით და მცოდნე კაცებისგანაც გვესმის, რომ ეს კვერი ერთი-ორად, ერთი-სამად უფრო ცოტა მუშას (კაცსა და საქონელს) თხოულობსო და ერთი-სამად უფრო მომეტებულს ლეწავს, ვინემ ჩვენი ჩვეულებრივი კვერიო. მაგრამ რამდენადაც ვიცით, სოფ. საგარეჯოს გარდა, ამ კვერს ჯერ არსად არ ხმარობენ. რატომ?

\* \* \* მთელისის ძრუტოკმა გამართა გასულს ორშაბათს კონცერტი კრეისერების („თავისუფალი ფლოტის“) შესაძენი ფულების მოგროვებისათვის. ამ კონცერტიდამ ძრუტოკმა სულ 1,300 მანეთამდინ მოაგროვა ხსენებულო საგნის სასარგებლოდ.

\* \* \* ჩვენ გვატყობინებენ მთიანისიდან, რომ იქაური ქართული სცენის მოყვარენი ამ დღეებში სოხუმიდამ გადმოსული საწყალი ხალხის სასარგებლოდ მოლლიერის კომედიის „შორე დანდენის“ წარმოდგენას აპირებენო.

\* \* \* ჩვენ მივიღეთ პირველი წიგნი ახალი სომხური პედაგოგიური ჟურნალისა, რომლის გამოცხადებასაც იწყობს ამ ივლისიდან უფ. ტერ-მოანესიანი და რომელსაც ჰქვიან სახელად „პედაგოგიური ჟურნალი.“ ამ პირველ წიგნში შემდეგი სტატიებია დაბეჭდილი: „მოწინავე სტატია“, რომელშიაც გამოთქმულია ჰაზრი, თუ როგორ და რასაშუალებით უნდა გაიმართოს სომხის შკოლებიო—„საყმაწვილო წიგნებზე“,—„ქრებელის ბიოგრაფია“,—„სამშობლო ენის სწავლა“ და „ნარევი.“

მთელი წიგნი შეიცავს 4 ბეჭდის თაბახს, კარგათ, შნოიანად გამოცემულს წიგნს.

\* \* \* ბაზეთი „ბოლისი“ გეაცნობებს, რომ შმაღლესის ბრძანებით ძავეკისის მადნის წყლებზე გამოგზავნილი ყოფილა დოქტორი ძაბატი ომში დაჭრილებისა და ავთამყოფი გაომრებისათვის ახალი ლაზარეთების მოსამართავად. ხსენებულ დოქტორს უკვე გაუშართავს ახლა შემდგომ ღოშბიტლები: სლავიანსკში—400 კაცის საწოლი, პიატიგორსკში—200-ის, შელეზნოვოდსკში—100 და პისლოვოდსკში—200, სულ—950 კაცისათვის.

\* \* \* მეორე რუსული გაზეთი „ნოვოს“

ტი“ იწერება, უმაღლეს მთავრობას გან-  
ზარება აქვს, რომ ქალაქს სოხუმს  
დაეთმოს ის შემოსავალი, რომელიც  
შემოდის სოხუმის ნავსადგურიდანა.

„დ რ მ ე ბ ა“ კორესპონდენცია

ზორი, ვ. ს. იკლის. ღმერთმა თქვენი  
აგათ დამაწყევარი შეაწუხოს, როგორც  
დღეს მთლათ ზორში მცხოვრებლები  
არიან შეწუხებულები; რის მიზეზით,  
აგერ მოგახსენებთ.

ზორი, როგორც მოგეხსენებათ, გაშ-  
ლილი ალაგია და ერთ დროს ქალაქს  
საკმაო სახნავე მიწები, საძოვარი და ქა-  
ლაც ჰქონდა; იმის მომსწრე ხალხი დღე-  
საც ბევრია ზორში, რომ ქალაქს უფუ-  
ლია უდავოთ შემო-ხსენებული ადგი-  
ლები.

მაგრამ დღეს ამ ადგილებიდან ზორს  
მეთელი ნაწილიც აღარ უჭირავს, სულ  
ზორის მოსამზღვრებმა სხვა-და-სხვა  
გვარმა თავადთა და აზნაურებმა დაიჭი-  
რეს: ჩვენიაო!

თუმცა შეიძლება ამათზედ საჩივა-  
რი, როგორც საკუთრებაზედ, და არ და-  
ენებებინათ, მაგრამ ვინ იყო ხმის ამო-  
მღები? ჩვენი დეპუტატები იმას ფიქრობ-  
დნენ, რომ მახტის ანუ აცენკის ფული  
აეღოთ და ჯიბეში გაექანებინათ; მიე-  
ცათ უბრალო კვიტანციები ხალხისათვის,  
რომელსაც დღესაც ნახამთ ბლომით; ამ  
კვიტანციების პატრონებს დღესვე ისევ  
ხელ-მეორეთ უპრავა ფულსა სთხოვს,  
რადგან იმ კვიტანციებს არ იწყნარებს.

მს იყო იმათი საქმე; თავადებთან ხმის  
ამოდება არ შეეძლოთ. მერმე წამოგვი-  
სვეს ხელი და თითონ ზორში მცხოვ-  
რებლებმა, უზუნდი უპრავლენიაში მო-  
სამსახურე პირებმა, თუ გარეშე პირთა  
დაიჭირეს ზორის ახლო-მახლო ადგი-  
ლები; ზოგმა საყენის ფული მისცა, ზო-  
გმა ამ მამულზედ შენობა მოახდინა  
და ზოგმა ერთი ათათ გაჰყიდა!

მს გაკვრა-გავლევია არ გვაქმარეს;  
ენლა აქვს ზორსა შიგ ქალაქში ვიდრე  
1200 კვადრატული (ოთხ-კუთხი) საყე-  
ნი მიწა, რომელზედაც შეიძლება აშენ-  
დეს ქალაქისათვის ყაზარმა, უპრავლენ-  
ია, შკოლა ანუ სხვა შენობა. მაგრამ  
ვინ გვანებებს? თუმცა ზორისა არის  
და ახლის ცირკულიარითაც ზორს ეკუ-  
თენის შუა ქალაქში მდებარე ადგილი,  
მაგრამ ზოგნი კიდევ ეშმაკურის მოხერ-  
ხებით იჭირენ; თუმცა ქალაქის თავმა  
ამაზედ დიდი ყურადღება მიაქცია და  
არც არაუის დაანებებს, მაგრამ მარტო  
ეს არა კმარა; იმასაც მიაქციოს ყურად-  
ღება, რომ ზორში ხუდადაშვილები  
ორას დესიატინა ადგილსა ჰყოლობენ:  
ჩვენიაო! არ ვიცით—ვინ მისცათ; თა-  
ვადისა კი გამიგონია მთა და ბარი და  
სომხისა კი არა; იქნება გვეგონოთ ნაყი-  
ლი აქეთო; მაგრამ ზედმიწევნით ვიცით,  
არაფერი დოკუმენტი არა აქვთ ამ მა-  
მულზედ. თუ ამასაც ყურს-უგდებენ,

იმედია ზორმა იუფლოს ეს მამულიც.  
დღეს ეს სხვისგან დაჭერილი ადგი-  
ლები რომ გამოერიცხოს ზორს, ძალიან  
ცოტა ადგილი დარჩება.

მცხოვრებლები იმაზედ არიან შეწუ-  
ხებულები, რომ არ შეუძლიანთ თავი-  
ანთ საქონელი (ნახირი) გარეკონ სა-  
დმე საძოვრათ, რადგანაც, როგორც გვე-  
სმის, ზორის სამოქალაქო უპრავა ქა-  
ლაქის გარეშე ადგილსაც იჯარით მი-  
ცემას აპირებს; აიღებენ წელიწადში ხუთ  
თუმანსა, ან იმასაც არა, და თუ ეს ად-  
გილები მართლა იჯარით გაიცა, ზორი-  
დამ ნახირი აღარ გავა, და ღარიბ ხალხს  
ძრიელ შეაწუხებს.

ზორელი

# რუის უაღაგ

## ბერლინის კონგრესი

როდესაც ლორდ ბიკონსფილდს გა-  
მოუცხადებია პირველად ქონგრესის-  
თვის, რომ, მსმალეთთან შეკრულის  
პირობის ძალით, ინგლისმა მიიღო ძიპ-  
რიო, ამ ამბავს ისეთ ნაირად გაუკვირებია  
და აუშფოთებია საფრანგეთის წარმომა-  
დგენელი შადინგტონი, რომ ეგონათ,  
ის ბერლინის მორიგების პირობაზე  
ხელს არ მოაწერსო.

მიზეზი ამისი ის გარემოება იყო, რომ  
საფრანგეთი იმ თავითვე მხოლოდ იმ  
პირობით დათანხმებულა ბერლინის ქონ-  
გრესზე მონაწილეობის მიღებაზედ, თუ  
მგვიბტე და სირია ისევ ისე დარჩებიან,  
როგორც ახლა არიანო; ძიპრის დასა-  
კუთრების შემდეგ კი ეს ორი ქვეყანაც  
თითქმის ინგლისის ხელში იქნებოდა, ძიპ-  
რი ისეთი პოზიცია არასო, რომ რა  
დროსაც მოინდომებს, იმ დროს დაიპყ-  
რობს იქიდან ინგლისი მგვიბტესა და  
სირიასაო.

მაგრამ ბოლოს, როგორც სჩანს,  
საფრანგეთი დათანხმებულა და ქონგრეს-  
ის ყველა წევრებს მოუწერიათ ხელი  
„ბერლინის პირობაზედ.“

სტამბოლიდან იწერებიან, რომ მსმა-  
ლეთმა საბერძნეთის სამზღვარზე გაგზავ-  
ნა აქედამ 30,000 კაცი ჯარიო. ამა-  
გარდა მსმალეთის ფლოტის უფროსობა  
ისევ ზობრეტ-ფაშისათვის ჩაუბარებიათ  
და ეს ფლოტი, რა დროსაც საჭირო იქ-  
ნება, იმ მიწუტს გავა ზღვაში და ჯარებს  
წაიყვანსო.

ძიპრის კუნძული, ინგლისის მთავრო-  
ბის განკარგულებით, დაუჭრია ზღვის  
ადმირალს შელსლეის, რომელიც ორი  
ჯავშნიანი ხომალდითა და ინდოეთიდან

მოყვანილის ჯარით მისულა იქ გასული  
ინენის 29-ს.

### ბიზლირთი

ტელეგრაფმა გვაცნობა ამას წინათ,  
რომ მიტილენის კუნძულზედ ხალხის  
არეულება არისო. მსმალეთის მთავრო-  
ბას ამ არეულობის დასამშვიდებლად  
სამხედრო მინისტრი ჟოსფორ-ფაშა  
გაუგზავნია ამ კუნძულზე და, როგორც  
იწერებიან, ამას საქმე მშვიდობიანად  
გაუთავებია.

მაგრამ ახლა, ამბობენ, მესოპოტამიაში  
მოხდა უწყესობაო.

„Indép. Belge“-ის მენელი კორრეს-  
პონდენტი იწერება ამ გაზეთში, რომ  
ბოლგარიის მთავრის ამოჩრევა ამ ენკე-  
ნისთვეში იქნებოდა. ჯერ ამოჩრეულნი  
იქნებიან მთელი ბოლგარიიდან საპატიო  
პირები; ესენი შეიკრიბებიან ერთ ალა-  
გას და შემდეგ ეს კრება ამოაჩრევეს  
ბოლგარიის მთავრად ვინც ჰსურსო.

ბერლინელი ქორრესპონდენტი „მოს-  
კოვის უწყებებისა“ გვაცნობებს, რომ  
ქონგრესის გარდაწყვეტილებით, რუსეთი  
არ არის ვალდებული, რომ ბათუმის  
ციხეები დაანგრის; ის ვალდებულია  
მხოლოდ, რომ ეს ქალაქი სამხედრო  
ფლოტის ნავსადგურად არ განადგოსო.

გაზეთის „Indép. Belge“ სტამბოლე-  
ლი კორრესპონდენტი იწერება, აქ (სტამ-  
ბოლში) გავრცელდა ხმაო, რომ რუსის  
ჯარები ამ ცოტა ხანში მიდიან აქედამ,  
რამდენიმე ხანს ჩატალჯის ახლო-მახლო  
ადგილებში იქნებიან დაბანაკებულნი და  
მერე კი რუსეთში დაბრუნდებიანო. მს  
ამბავი სტამბოლელებს ძალიან ახარებსო.

ამავე გაზეთში დაბეჭდილია მარნიდან  
მიღებული დეპეშა, რომელიც გვაცნო-  
ბებს, რომ მსმალეთს გააქვთ ამ ქალა-  
ქიდან ყველა თავის სამხედრო მასალები,  
მიჰყავთ ჯარები და საზოგადოთ სცლია-  
ნო.

ბერლინის ქონგრესის გათავების წი-  
ნა დღეს ლონდონის გაზეთის „თაიმ-  
სის“ კორრესპონდენტს უნახავს თ. ბის-  
მარკი და ულაპარაკნია იმასთან.

ინგლისმა გასაკვირველად გაიმარჯვა  
ამ ქონგრესზედაო, უთქვამს სხვათა შო-  
რის თ. ბისმარკს. მრთი წვეთი სისხლის  
დაუღვრელად იმან შეასრულა თითქმის  
ყველა თავის გულის წადილი. იმან სა-  
ნახევროდ გაჰყო ბოლგარია, ბალკანის  
მთებით, როგორც ფარით, ისე დაიცვა  
სტამბოლი; იმან მოახერხა ისე გაწყობა  
საქმისა, რომ ბოსფორისა და ბარდანე-  
ლის წყლის შესახებ ძველი წესები და  
ტრაქტატი დარჩა თავის ძალაში; იმან  
ჩაიგდო ხელში ძიპრი და სხ.

ახლა ისიც უნდა მივიღოთ მხედვე-  
ლობაში, რომ რუსეთმა ბევრი მსხვერ-

პლი მოიტანა ამ ომიანობის დროს, რომ ის გამარჯვებული მხარეა, და არ შეიძლება ყველაფერში იმის დამცირება და იმის პირობების უარ-ჰყოფა. ამის გამო ჩემი ჰაზრი ეს არის, რომ ბათუმის შესახებ მაინც წინააღმდეგობა არ გაუწიოს ამას ინგლისმა.“

## ბანსხალბანი

ქალაქის საავთმყოფოსაგან

თვილისის ქალაქის საავთმყოფო კანტორად საყოველთაოდ აცხადებს, რომ თანახმად სამოქალაქო საავთმყოფოებისათვის დადგენილის წესდების § 3 მუხლისა, ხსენებულს საავთმყოფოში ავთმყოფები მიიღებიან: ზაფხულობით დილის 7 (შვიდი) საათიდან და ზამთარ დილის 8 (რვა) საათიდან ვიდრე დილისავე 10 (ათ) საათამდე. თუ აუცილებელი საქროება იქნება, ავთმყოფების მიღება სხვა დროსაც შეიძლება.

(3-1)

ამ თვის 15-ს გაიხსნა თვილისში

## ქართული წიგნის მაღაზია,

სადაც მსურველთ შეუძლიანთ მოიპოვონ ყოველგვარი ქართული ძველი და ახალი წიგნები.

მაღაზია იმყოფება ქაშვეთის ეკლესიის ქვემოთ დუქნებში, № 2.

ზარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ დაიბარონ ყოველგვარი ქართული წიგნები შემდეგის ადრესით: Въ Тифлиси. Въ книжный магазинъ Григорія Чарквіани, въ зданіи Кашветской церкви, № 2.

ისყიდება თვილისში „ცენტრალურს წიგნის მაღაზიაში“ ქართული

## „სამჯარეულო წიგნი“

შედგენილი კნა ბარ. ჯორჯაძისაგან. ფასი ათი შაური.

ისყიდება თვილისში „ცენტრალური წიგნის მაღაზიაში“ ქართული სამჯარეულო წიგნი“. შედგენილი კნ. ბარ. ჯორჯაძისაგან. ფასი ათი შაური.

## თვილისის საადგილ-მამულო ბანკისაგან

გამგომება თვილისის გუბერნიისთავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისა საყოველთაოდ აცხადებს შინანსთ სამინისტროს კრედიტის ნაწილის ცალკე კანცელარიის 21 ივნისამდე 1878 წლის № 8479 მოწერილობას, რომ შინანსთ მინისტრმა შესაძლოთ დაინახა, რომ თვილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ბირაოს ფურცლები (закладные листы) სახელმწიფო კრედიტადგები და კოსტავაგუბი მიღებულ იმგნენ ბირაოდ (ზალოვად) კავკასიის მხარეში, და რომ ამ საფუძვლით შემო-სხენებული გირაოს ფურცლები ჩარიცხულნი არიან სახელმწიფო გირაოებად მისაღებ სარგებლიან ქალაქდების სიაში თითო გირაოს ფურცელი 65 (სამოც-და-ხუთ) მანეთად, ე. ი. ხსენებული ბანკის ასს მანეთიან გირაოს ფურცელში ხაზინა 65 მანეთში მიიღებს ზალოვად.

(1-1)

გამომვიდა და ისყიდება „ცოლი ვიტირო, თუქუფუფი“ კომედია აღ. შედგენილია ისყიდება: ქალაქში—ყველა წიგნის მაღაზიებში და ალექს. ჯიმშეროვთან, თელავს—იოსებ ძუხმანაშვილთან, ქარელს—დავით შეროხაშვილთან, ხაშურისა და ბეჟა თუბნის უჭეტში, სურამს—ზაქარია არუწოვთან, ქუთაისს—იაკობ მკანეწოვთან და სე. სერვაძესთან შოთში—მლისბარ ბაბალოვთან, ცხინვალს—თ. ივ. თაქაქოვთან, საქაშვეთს—თ. ნიკ. დასამიძესთან, მეჯვრისს ხევეს—მასწ. მოსე ნათაძესთან, ბორში—სტ. ზომოცვთან და თვითონ ავტორთან.

გამომვიდა და ისყიდება

## „თამარ ბატონიშვილი“

ხუთ-მოქმედებიანი დრამა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდან, გადმოკეთებული ბრ. რჩეულოვის რომანიდან „საქართველოს თამარ ბატონიშვილი“ კ. მუსხისაგან.

ისყიდება: თვილისში—ყველა წიგნი მაღაზიებში, შუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. ფასი ყველგან მესხი შაური.

## ახალი კვერი

მისაც მსურს მოიპოვოს ახალი შეუძლიან მიჰმართოს ნ. ავალიდვილს, (ქუთაში, მლისავეტინსკი-ქუჩაზე, № 108), რომელიც კისრულობს ამ კვერბის გაკეთებინებას თავის ხელმძღვანელობით.

რბ. გზა.	დილა.	საღამ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მ. კაპ	მაჟანდა	მან. კაპ	თვილისის სამკურნალო
თვილისი	9 21	5 18			მცი სიტყვა თვილისიდან:		თვილისი, 6 ივლისს.		მრენის მაედანზე, წინამძღვარების სახლებში.
მცხეთა	10 11	6 27	68	38	ჭუთაისს, შოთს	1	შქე. თეთ. ბანჯისა, ფთ.	1 40	ავთმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე;
ბორი	11 58	9 43	2 40	1 33	ბორს, დუშეთს, სიღნაღს	50	შქეილი წითელი	1 30	კვირას გარდა, დილის 9—1 მდინ.
ხაშური	1 29	11 57	3 92	2 18	როსტოვს, მდებსას, მოსკოვს	2	შერი ფუთი	1 25	მ რ შ ა ბ ა თ ს: ქიუჩარაინც—ხი-
სურამი	1 44		4 42	2 46	პეტერბურგს, შარშავას	2	ბაზა მრევენისა, ფუთი	6 50	რურგი, ბარალევიჩი—შინაგ. ავთმყოფ.
შვირილი	5 49		5 81	3 23	მსმალეთში, შევიცარიაში	3	—ამერიკისა, ფუთი	7 50	ს ა მ შ ა ბ ა თ ს: შერმიშევი შინაგ.
რიონი	6 57		6 75	3 75	იტალიაში და საფრანგეთში.	3 50	ბაპენტლი ბაზა ფუთი	10	ავთმყოფობის, რეიხი და ბახუტონი
სამტრედია	7 51		7 73	4 29	ინგლისში	3 75	მატული თუშური ფთ.	8 50	—ბებიაობის თვალის.
ახ.-სენაკი	8 43		8 57	4 76	ფოვბა		—თარაქამისა ფთ.	4 20	მ თ ხ შ ა ბ ა თ ს: შერმიშევი—ში-
შოთი	9 50		9 75	5 42	ა) თვილისიდან: სამზღვარ გარეთ, შუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე		აბრეშუმი ნუხური სტ.	2	ნაგანი ავთმყოფ, ბაკტა—გულის და
შოთი	9 83				კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხაშშ.		ქონი, ფუთი	6	ნერვების ავთმყოფ.
ახ.-სენაკი	10 14		1 18	66	მზურ.—პარასკ. და ორშ. ქანეთს—		ქონის საბთელი ფუთი.	9	ს ხ თ შ ა ბ ა თ ს: შერმიშევი—ში-
სამტრედია	11 5		2 6	1 14	სამშ. და შაბ. ბ) შუთაისიდან:		სტეარინის საბთელი, ფ.	12 70	ნაგანი ავთმყოფ. ბავრინსკი—თვალის
რიონი	12 13		3 4	1 69	თვილისისა და შოთისაკენ—ყოველ		სორტი ქროხისა, ლიტ.	90	და მ ბ რ ტ ი —ქილის.
შვირილი	1 18	ღამე	3 98	2 21	დღე, კვირას გარდა. მზურგეთს—		—ცვრისა, ლიტრა	90	პ ა რ ა ს კ ე ვ ს: შერმიშევი—შინაგ.
სურამი	5 12	1 10	5 33	2 96	ორშ. და პარასკ.		საირტი, ვედრო	5 20	ავთმყოფ. ბახუტოლი და ქიუჩარაინცი.
ხაშური	5 39	1 37	5 84	3 24	წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ.	შაქარი, ბროც. ფუთი	7 80	შ ა ბ ა თ ს: შერმიშევი შინაგანი ავთ-
ბორი	7 5	4 8	3 6	4 9	და სამზღვარ გარეთ:		—ფხვნილი ფუთი	6 40	მეფობის, რეიხი—თვალის ავთმყოფ.
მცხეთა	8 50	6 59	9 8	5 4	ლია წიგნის	4	შაგა გოგვლი, გირე.	13	და ბაკტი—გულის და ნერვების.
თვილისი	9 31	7 56	9 75	5 42	დაბეჭდილის (სამი მისხალი)	8	თამბაქო, საშუალო ფუთი	8 50	